შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

2026 წელი

შესავალი

გამოცდილება

წარმატებით გავლილი
რევატორიზაცია

რევატორიზაცია

2023 წელს კოლეჯმა წარმატებით გაიარა რევატორიზაცია და მიენიჭა 6 წლიანი ვადით პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლება.

კვალიფიციური კადრი

მაღალკვალიფიციური განათლების მასწავლებლები უზრუნველყოფენ კურსდამთავრებულთა წარმატებულ დასაქმებას შრომის ბაზარზე.

მისია და ხედვა

მისია

განახორციელოს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამები, რომელთა მეშვეობით მოამზადებს კვალიფიციურ სპეციალისტებს და წვლილს შეიტანს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

შექმნას უსაფრთხო და ჯანსაღი სასწავლო გარემო, სადაც თანასწორობის პრინციპების დაცვით თითოეული სტუდენტი ისწავლის განსხვავებული აზრის პატივისცემას.

ხედვა

2030 წლისთვის შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი მრავალფეროვანი პროფესიული პროგრამების განხორციელების მეშვეობით უზრუნველყოფს შრომის ბაზარს კვალიფიციური კადრით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

საექთნო განათლება

3 წელი

ფარმაცია (სააფთიაქო)

2 წელი

ვეტერინარია

2 წელი

მასაჟის თერაპია

1 წ. 8 თვე

სტომატოლოგის ასისტენტი

1 წ. 6 თვე

შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები

2 წელი

საექთნო განათლება

3 წელი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში

პროგრამის მიზანი

პროფესიული პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი, ზოგად მოვლაზე პასუხისმგებელი ექთნის მომზადება.

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

დასაქმების შესაძლებლობები

- ჯანდაცვის სფეროს სამედიცინო დაწესებულებები
- შინმოვლის სფერო
- საექთნო მომსახურების საჭიროების მქონე ორგანიზაციები

ფარმაცია (სააფთიაქო)

2 წელი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფარმაცევტის/ფარმაცევტის თანაშემწის კვალიფიკაცია

პროგრამის მიზანი

მიზანია ჯანდაცვის სფეროსთვის კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ფარმაცევტული და პარაფარმაცევტული პროდუქციის მიღებას, განთავსებას, ნაშთების კონტროლს, რეცეპტით სამკურნალო საშუალების მომზადებას და ურეცეპტოდ გასაცემი პროდუქციის რეალიზაციას.

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

დასაქმების შესაძლებლობები

- ავტორიზებული და სპეციალიზებული აფთიაქები
- საბითუმო რეალიზაციის ობიექტები
- სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნიკის მაღაზიები

ვეტერინარია

2 წელი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში

პროგრამის მიზანი

მიზანია შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება, რომელიც შეძლებს ცხოველთა მკურნალობას, დაავადებებზე რეაგირებას, ოპერაციის შემდგომ მონიტორინგს, ლაბორატორიულ ტესტებში დახმარებას და ვეტერინარი ქირურგის ასისტირებას.

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

დასაქმების შესაძლებლობები

- ვეტერინარული კლინიკები და აფთიაქები
- ზოოპარკი, ზოომაღაზია, ლაბორატორია
- ფერმერული მეურნეობები და თავშესაფრები
- ხორცის გადამამუშავებელი საწარმოები

მასაჟის თერაპია

1 წელი და 8 თვე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია -უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია მასაჟის თერაპიაში

პროგრამის მიზანი

მიზანია კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, რომლებიც აღიჭურვებიან პროფესიის სტანდარტით განსაზღვრული თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის.

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

დასაქმების შესაძლებლობები

- სამედიცინო დაწესებულებები და რეაბილიტაციის ცენტრები
- სპა და ჰიგიენური სალონები, სანატორიუმები
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრები
- ბინაზე მომსახურება ექიმის დანიშნულებით

შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები

2 წელი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში

პროგრამის მიზანი

მიზანია კვალიფიციური კადრის მომზადება, რომელიც შეიმუშავებს დასაქმებულთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის მექანიზმებს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტანდარტების შესაბამისად და უზრუნველყოფს შრომის დაცვითი ღონისძიებების მართვას.

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

დასაქმების სფეროები

- მშენებლობა, ენერგეტიკა, ლოჯისტიკა, ტრანსპორტი
- მძიმე და სამთო მრეწველობა, საზღვაო პორტები
- ტურიზმი, სავაჭრო და საგანმანათლებლო სფერო
- სახელმწიფო შრომის ინსპექტირების სამსახურები

სტომატოლოგის ასისტენტი

1 წელი და 6 თვე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სტომატოლოგიის ასისტირებაში

პროგრამის მიზანი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია უზრუნველყოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება სტომატოლოგიის ასისტირების სფეროში.

დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

დასაქმების შესაძლებლობები

- სტომატოლოგიური კლინიკები
- ჰოსპიტლის სტომატოლოგიური დეპარტამენტი
- სტომატოლოგიური საგანმანათლებლო დაწესებულებები

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

გორში მდებარე ერთადერთი კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება
ქ. გორი, ცხინვალის გზ. N9

დაგვიკავშირდით

ვებ-გვერდი: www.amagi.edu.ge

ტელ: 0370 27 05 57
მობ: +995 595 53 52 35
ვებგვერდი: amagi.edu.ge